

ქალაქ მცხეთაში გმირის ქუჩა N1-ში საცხოვრებელი სახლის სახურავის გადახურვის სამუშაოების და არმაზის ქუჩა N2 მე-8 კორპუსის საცხოვრებელი სახლის სახურავის წვიმის წყლის სარინალის (ჟოლოპი) რეაბილიტაციის სამუშაოები.

სატენდერო დოკუმენტაცია

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
საკვალიფიკაციო მოთხოვნები
შესყიდვის ობიექტი
სამშენებლო სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობები
სისტემაში ასატვირთი დოკუმენტები და ინფორმაცია
დამატებითი ინფორმაცია
სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პროექტი
დანართი 1. რეკვიზიტები

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ` და `გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ` სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

ტექნიკური დავალება

2 შესყიდვის ობიექტი:

ქალაქ მცხეთაში გმირის ქუჩა N1-ში საცხოვრებელი სახლის სახურავის გადახურვის სამუშაოების და არმაზის ქუჩა N2 მე-8 კორპუსის საცხოვრებელი სახლის სახურავის წვიმის წყლის სარინალის (ჟოლოპი) რეაბილიტაციის სამუშაოები.

2.1 სამუშაოს შესრულების ვადები

ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

2.2 სამუშაოს შესრულების ადგილი:

ქალაქი მცხეთა.

3. ტექნიკური პირობები:

1. შესრულებული სამუშაო უნდა იყოს ხარისხიანი და მიმწოდებლის მხრიდან უნდა გავრცელდეს საგარანტიო ვადა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 წელი, რომლის დროსაც ექსპლუატაციის პირობებში მიღებული (არა მექანიკური) დაზიანებების აღმოფხვრა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი სახსრებით;
2. სამუშაოს შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია, საჭიროებისამებრ, მოითხოვოს შესაბამისი სერტიფიკატი მშენებლობის პროცესში გამოყენებულ მასალებსა და მოწყობილობებზე;
3. მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით.
4. სატენდერო წინადადებაში ერთეულისა და საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს მხოლოდ ლარებში, შეიცავდეს სამშენებლო სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, ექსპერტიზის ხარჯებს.
5. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება
6. ანგარიშსწორება განხორცილდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის და ფორმა N2-ს წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
7. გადახდის წინასწარი მექანიზმი (ავანსი) არ გამოიყენება.
8. საბოლოო მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიური დანახარჯების მიხედვით.
9. საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებამდე მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა გაცემული ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ, რომლითაც დადგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა და ღირებულება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციასთან (ხარჯთაღრიცხვასთან, თანდართულ ნახაზებთან, ესკიზებთან და სპეციფიკაციებთან); ექსპერტიზის თანხა გადახდილი იქნება მიმწოდებლის მიერ.
10. წინადადების წარდგენის დღისათვის მიმწოდებელი არ უნდა იყოს რეგისტრირებული შავ სიაში.

11. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დანტვიციებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის I პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

12. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა ან/და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატენდერო წინადადება შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლის შემდგომი წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე. პრეტენდენტმა აღნიშნული დაზუსტება უნდა წარმოადგინოს შემსყიდველის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში.

13. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაეკვემდებარება ანაზღაურებას.

14. თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. ზემოხსენებული დასაბუთების ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენლობა გამოიწვევს შესაბამისი მიმწოდებლის დისკვალიფიკაციას;

15. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემსყიდველი ორგანიზაციისაგან, მის მიერ შესრულებულ ანალოგიური (გადახურვის სამუშაოები) სამშენებლო სამუშაოების შესახებ 1 ან მეტი დადებითი რეკომენდაცია, რეკომენდაციაში უნდა იყოს მითითებული, თუ რამდენად ხარისხიანად, სრულად და დროულად შეასრულა მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება.

16. პრეტენდენტს 2014 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 ივლისამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს სამშენებლო სამუშაოები ჯამური ღირებულებით, მინიმუმ 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობით. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სამშენებლო სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (სამუშაოს შესრულების აქტი, მიღება-ჩაბარების აქტი ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა).

17. შემსყიდველი იტოვებს უფლებას დაიტოვოს ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 10%, რომლის ანაზღაურება მოხდება სამუშაოს დასრულების შემდეგ მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები:

- ა) დანართი №1 კომპანიის (რეკვიზიტები), ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ;
- ბ) ხარჯთაღრიცხვა, ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ;
- გ) სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი, მოცულობების მიხედვით, ვადებით და თანხით

გაწერილი;

დ) მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემსყიდველი ორგანიზაციისაგან, მის მიერ შესრულებულ ანალოგიური (გადახურვის სამუშაოები) სამშენებლო სამუშაოების შესახებ 1 ან მეტი დადებითი რეკომენდაცია, რეკომენდაციაში უნდა იყოს მითითებული, თუ რამდენად ხარისხიანად, სრულად და დროულად შეასრულა მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება.

იმ პრეტენდენტებს, რომლებსაც ანალოგიური სამშენებლო სამუშაოები (გადახურვის სამუშაოები) შესრულებული აქვთ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით, რეკომენდაცია არ მოეთხოვებათ.

ე) პრეტენდენტს 2014 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 ივლისამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს სამშენებლო სამუშაოები ჯამური ღირებულებით, მინიმუმ 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობით. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სამშენებლო სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (სამუშაოს შესრულების აქტი, მიღება-ჩაბარების აქტი ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა).

5. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო დოკუმენტები:

ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

ბ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შესაბამისი ორგანოებიდან გაცემული უნდა იყოს 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ თანახმად, N9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, (წინადადების მიღება დაწყებულია), ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს წინადადების მიღების ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი კალენდარული დღისა. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. არარეზიდენტმა პრეტენდენტმა შესაბამისი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ გაცემული თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან, რომლებიც თარგმნილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ნოტარიულად დამოწმებული. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ ექვემდებარება შემდგომ დაზუსტებას.

6. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისგან: ეკატერინე ასიტაშვილი tel: 599990222, ასევე პროექტან დაკავშირებული ინფორმაცია, გოგი აბუაშვილი 551118 418

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

7. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____ 20--წ.

ერთის მხრივ

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია _____

(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ

_____ (მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

(შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ქ.მცხეთაში----- სამუშაოები (CPV45200000) .

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ` (შემდგომ – `ხელშეკრულება`) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 `ხელშეკრულების ღირებულება` ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 `შემსყიდველი ორგანიზაცია` (შემდგომ – `შემსყიდველი`) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 `მიმწოდებელი` ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 `დღე`, `კვირა`, `თვე` ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს საერთო სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

3.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ან/და მათი ნაწილის შესახებ წუნდების მიზეზის მითითებით.

3.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.4 მიმწოდებელმა სამუშაოების წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი და მიღებული შედეგები შეიტანოს ყოველდღიურად ჟურნალში.

3.5 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს სამუშაოების შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოების წარმოება სამუშაოს, პროექტთან შესაბამისობაში მოყვანამდე.

3.6 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაოების მიმღები კომისია.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში.

4.2 შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 3 წლის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად სამუშაოს მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.2 საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესრულებულ სამუშაოზე ექსპერტიზის დასკვნა.

5.3 ექსპერტიზის თანხები გადახდილი უნდა იყოს მიმწოდებლის მიერ

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2 საბოლოო მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიური დანახარჯების მიხედვით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან აკრედიტაციის მქონე ორგანიზაციის (პირის) მიერ, გაცემული დასკვნის საფუძველზე, რომლითაც დგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციასთან (თანდართულ პროექტთან, ხარჯთაღრიცხვასთან, ნახაზებთან, ესკიზებთან, სპეციფიკაციებთან და სხვა).

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ` საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. სუბკონტრაქტორები

10.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინააღმდეგარე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

12.4 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან/და არაჯეროვნად ასრულებს ამ ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, მათ შორის სამუშაოებს გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ვადების და თანხების შესაბამისად, შესაძლებელია შემსყიდველის მიერ ეს განხილულ იქნეს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველად.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი` ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

19.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა მინიმუმ ერთი თვით უნდა აღემატებოდეს მიწოდების ვადას.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

20.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

პრეტენდენტის ხელმოწერა -----